



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

(ო ქ მ ო №4

ქ. ბათუმი

2019 წლის 22 მარტი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თეზიძე

მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა სირაბიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
დimitრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;

ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
დავით მახარაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნატალია ძიძიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;

არ ესწრებოდნენ:

მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი მიქელაძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურიძე	საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;
როინ ზოიძე	საკრებულოს წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ე. ლომაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მ. ქიძინიძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე; იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე; ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა“ ფარგლებში საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების განხორციელების, დაფინანსების, ანგარიშგების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე)

2. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ ფარგლებში ფესტივალების განხორციელების, დაფინანსების, ანგარიშგების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე)

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“, ღონისძიების „საერთაშორისო კულტურულ და საგანმანათლებლო/სამეცნიერო პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 იანვრის №9 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე)

4. „ქალაქ ბათუმში, დაბა ჩაქვში ახალი ზოოპარკის მშენებლობისათვის განსაზღვრული მიწის ნაკვეთების თვითნებურად დამკავებელი პირებისათვის საკომპენსაციო თანხების გაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე)

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

საკრებულოს თავმჯდომარემ - ს. თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე სხდომაზე დააყენა სხვადასხვა პრობლემატური საკითხი, კერძოდ: ურეხში, ჩაის ფაბრიკასთან მიმდებარე ტერიტორიაზე, მამია ვარშანიძის ჩიხში მოსახლეობის ყოფნა საშინელ მდგომარეობაში. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ცათამბჯენების აშენებით არის დაკავებული. აღნიშნულ საკითხზე მოსახლეობაში ფეკალური მასის შეჭრის თაობაზე ტელევიზიით არაერთი სიუჟეტია გაშუქებული, მაგრამ მიმდინარე წლის ბიუჯეტით არ არის განსაზღვრული მისი გაკეთება. ასევე, ერას მოედანზე, ცენტრალურ ნაწილში დგას ისტორიული შენობა, კულტურის ძეგლი, რომელიც ნაგავსაყრელადაა ქცეული. ასეთი მარტივი სახის პრობლემა, კარების ჩასმა ან ამოშენება, დღემდე არ აღმოფხვრილა. გარდა ამისა, ბათუმის მე-14 საბავშვო ბაღში ჩამოიშალა ჭერი, მაგრამ ბავშვები არ დაზარალებულან, რის გამოც მოითხოვა ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების“ გაერთიანების ხელმძღვანელების მოწვევა.

საკრებულოს წევრი ე. ანდრიაძე, წინა დღით, აჭარის ტელევიზიით გაშუქებულ სიუჟეტს გამოეხმაურა ნეპოტიზმთან დაკავშირებით, თითქოს მას დასაქმებული ჰყავს სიძე, რაზედაც მსგავსი შემთხვევა არ ფიქსირდება და აინტერესებს ვისზე ჰქონდათ კონკრეტულად საუბარი.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ფერიის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც გზის მშენებლობის გამო, გასულ წელს, შეუძლებელი იყო მისვლა და შპს, რომელიც აწარმოებდა სამუშაოებს, შეუწყდა ხელშეკრულება. მან ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს მიმართა, მიმდინარე წლის აღდგომის დღესასწაულამდე გზის საკითხის მოწესრიგების თაობაზე. ასევე მოსაწესრიგებელია ტურისტული სეზონის დაწყებამდე პარკირება ქალაქში, ქუჩები იქცა ბაზრობებად, დგას მანქანები წარწერით - იყიდება, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პარკირების მოწესრიგების საკითხი ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დღის წესრიგშია და ინტენსიურად მუშაობს პრობლემის მოგვარების კუთხით.

საკრებულოს წევრმა დ. მახარაძემ აღნიშნა გოგებაშვილისა და კოსტავას ქუჩებზე მდებარე „კუბთაურის“ მშენებლობის თაობაზე, რომელიც წლების წინ დაიწყო, გარკვეული პერიოდის განმავლობაში პროექტი შეჩერებული იყო. მშენებლობის ნაცვლად დღეს იქ დგას ტბა, სადაც ბინადრობენ ქვეწარმავლები, მღვრნელები და ა.შ. გოგებაშვილის ქუჩაზე მცხოვრები მოქალაქეების ნაწილი აპროტესტებს აღნიშნული პრობლემის მოუწესრიგებლობას.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული მშენებლობის გაჩერების თაობაზე შეიძლება პასუხი გასცეს ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ სოფო ხალვაშმა, რადგან მისი ოჯახის წევრები არიან მშენებლობაში ჩართული და შეფერხების მიზეზებიც მას ეცოდინება. ასევე, აღნიშნა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარე წლის 22 იანვრიდან 18 თებერვლის ჩათვლით ა(ა)იპ-ები და შპს-ები ინფორმაციას (ბიზნეს გეგმა და თანამშრომელთა სია) არ იძლევა, როცა საკრებულო და მერია არის დამფუძნებელი კომპანია. მისი სურვილია დესტრუქციულ რეჟიმში მუშაობა და კანონის ფარგლებში საჯარო ინფორმაციის გაცემა.

საკრებულოს წევრი ო. მახარაძე გამოეხმაურა, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვებასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოება ამ შემთხვევაში არ უნდა შევიდეს შეცდომაში, რამეთუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის საფუძველზე გასაგებია თუ რა არის საჯარო და არასაჯარო ინფორმაცია. კანონის განმარტების თანახმად, სახელობითი სიის მიღება მიეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს. საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა არის პერსონალური მონაცემები, რომელიც გაიცემა მხოლოდ პირის წერილობითი ნებართვით.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ აღნიშნა, რომ საჯარო ინფორმაციას ყველა უწყება გასცემს და რაც შეეხება სახელობით სიას არ გაიცემა კანონმდებლობის საფუძველზე. გამომდინარე აქედან, გასული სიუჟეტით გაშუქდა ნეპოტიზმის საკითხები, რის თანახმადაც, არასწორი ინფორმაცია მიეწოდა მოსახლეობას.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს წევრების ნათესავები არიან დასაქმებულები ა(ა)იპ-ებში და შპს-ებში.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

1. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა“ ფარგლებში საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების განხორციელების, დაფინანსების, ანგარიშგების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების“ განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები (მათ შორის სპორტული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით ხელშეკრულებების გაფორმებისა და ღონისძიების დაფინანსების წესი) მოწესრიგება. კონკურსში გამარჯვებული სუბიექტების იურიდიული პირების (პროექტების ავტორების) მიერ წარმოდგენილი პროექტების განსახორციელებელი საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების დაფინანსების წესის პირობების ანგარიშსწორების წესის განსაზღვრა.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ გ ე ს :

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ დასვა შეკითხვა აღნიშნული ფესტივალის მონიტორინგის ჯგუფის საჭიროების შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ შესრულებულ პროექტებს – საერთაშორისო ფესტივალებისა და ტურნირების შესახებ ანგარიშგების, აქამდე არსებული პრაქტიკით, მხოლოდ შესაბამისი სამსახური იბარებდა. ახალი წესის მიხედვით, შეიქმნება მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც როგორც ფინანსებზე, ასევე განხორციელებული ღონისძიებების მიღება-ჩაბარების აქტებზეც იქნება პასუხისმგებელი.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ დასვა შეკითხვა, თუ რითი იყო განპირობებული ბოლო პერიოდში დაბალი დონის ღონისძიებები? რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბით აღნიშნავენ, რომ ასეთი მაღალი რანგის ღონისძიებები რეინტიგულია.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ დასვა შეკითხვა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის საჭიროების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფის შექმნის საჭიროება განაპირობა, იმან რომ სპორტული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა და წელს 300 ათასი ლარი იქნება; ასევე გაიზარდა კულტურული პროგრამების დაფინანსება 500 ათას ლარამდე. კითხვები ჩნდებოდა საავტორო პროექტების შესყიდვასთან დაკავშირებითაც, აუდიტის დასკვნებში იწერებოდა, რომ თითქოს ჩვენ ტექნიკურ დავალებებს ვარგებდით კონკრეტულ ავტორებს. ახლა გამოგვაქვს გარეთ ეს საკითხი და პროექტების შერჩევა მოხდება კონკურსის წესით. ხელშეკრულებაც გაფორმდება უშუალოდ პროექტის ავტორთან“. აქვს შემოთა-

ვაზება, რომ ამ ჯგუფში შემოვიდნენ საკრებულოს წევრებიც.

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დასადაგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს:

2. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ ფარგლებში ფესტივალების განხორციელების, დაფინანსების, ანგარიშგების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერის“ ფარგლებში ფესტივალების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები (მათ შორის ფესტივალების განხორციელებასთან დაკავშირებით ხელშეკრულებების გაფორმებისა და ფესტივალების დაფინანსების წესი) მოწესრიგება. კონკურსში გამარჯვებული სუბიექტების იურიდიული პირების (პროექტების ავტორების) მიერ წარმოდგენილი პროექტების განსახორციელებელი კულტურული ღონისძიებების/ფესტივალების დაფინანსების ანგარიშსწორების წესისა და პირობების განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დასადაგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“, ღონისძიების „საერთაშორისო კულტურულ და საგანმანათლებლო/სამეცნიერი პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 იანვრის №9 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება ეხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“, ღონისძიების „საერთაშორისო კულტურულ და საგანმანათლებლო/სამეცნიერი პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 იანვრის №9 განკარგულებით დამტკიცებულ დებულებაში, ფინანსური დახმარების ოდენობის, ცალკეული პუნქტის ტექნიკური ხარვეზის გასწორებას. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს კონკურსის შედეგად შერჩეული თითოეული ბენეფიციარისათვის ერთჯერად ფინანსურ დახმარებას არაუმეტეს 2 500 ლარისა, რაც გულისხმობს მგზავრობის, ვიზის, დაზღვევის, ცხოვრებისა და ღონისძიებაში მონაწილეობისათვის დაწესებულ სარეგისტრაციო ხარჯების ანაზღაურებას. მისი თქმით, დებულებაში ასევე უნდა დაკონკრეტდეს უცხოეთში ვიზიტების დროს საცხოვრებლის ხარჯებთან დაკავშირებული საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 1 (ლ. ანთაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

4. „ქალაქ ბათუმში, დაბა ჩაქვში ახალი ზოოპარკის მშენებლობისათვის განსაზღვრული მიწის ნაკვეთების თვითნებურად დამკავებელი პირებისათვის საკომპენსაციო თანხების გაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 28 თებერვალს გამოიცა №14 განკარგულება „ქალაქ ბათუმში, დაბა ჩაქვში, ახალი ზოოპარკის მშენებლობისათვის განსაზღვრული მიწის ნაკვეთების თვითნებურად დამკავებელი პირებისათვის საკომპენსაციო თანხების გაცემის შესახებ“. განკარგულების პირველი პუნქტით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა განახორციელოს ქ. ბათუმში, დაბა ჩაქვში, ახალი ზოოპარკის მშენებლობისათვის განსაზღვრული მიწის ნაკვეთების თვითნებურად დამკავებული პირებისათვის მიწის ნაკვეთების გამოთავისუფლების სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხების გაცემა - ჯამში 568365,00 ლარის ოდენობით. განკარგულებას შეცდომით დაერთო მიწის ნაკვეთების თვითნებურად დამკავებელი პირების მიწის ნაკვეთების სიტუაციური გეგმა. შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით საჭიროა შევიდეს ცვლილება საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვალის №14 განკარგულებაში და მას დაერთოს წინამდებარე პროექტით წარმოდგენილი სიტუაციური გეგმა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 1 (ლ. ანთაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე – საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ს. შვენთიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე – საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი